

## სარჩევი:

1. ყოველწლიური სამედიცინო ვიზიტი ფიზიკური შესაძლებლობების შესამოწმებლად.
  - 1.1. სამედიცინო კონტროლის გამოყენების სფერო.
  - 1.2. გულსისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონირების შემოწმება.
  - 1.3. ტესტი თვალზე.
  - 1.4. სახსრების მოძრაობა, მოძრაობების ამპლიტუდა, ამპუტაციის ჩამონათვალი და შესაძლო პროთეზები, სენსორული და მოტორული დარღვევების ჩამონათვალი.
  - 1.5. დაავადებებისა და უუნარობის ჩამონათვალი, რომლებიც შეუთავსებელია ავტოსპორტთან ან სამედიცინო შემოწმებას მოითხოვს კონკრეტული ორგანოს მიერ.
    - 1.5.1. აბსოლუტურად გამორიცხულია.
    - 1.5.2. სტანდარტული ლიცენზიის მისაღებად შეუფერებელი მდგომარეობა, თუმცა, ნებადართულია სპეციალური შესაძლებლობის მოწმობის გაცემა.
    - 1.5.3. დაავადებები ან უუნარობა, რომლებიც მოითხოვს სამედიცინო შემოწმებას საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაცია-ის უფლებამოსილი ორგანოს მიერ (სამედიცინო კომისია, ან მისი არარსებობის შემთხვევაში საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული ექიმი).
  - 1.6. სამედიცინო შემოწმების ფორმა.
    - 1.6.1. სამედიცინო კითხვარი.
    - 1.6.2. სამედიცინო ფორმა.
    - 1.6.3. სამედიცინო ფორმისა და კითხვარის დანიშნულება.
  - 1.7. ექიმის მოვალეობები, რომელიც ახორციელებს შემოწმებას.
  - 1.8. შესაძლებლობის შესახებ სამედიცინო მოწმობა.
  - 1.9. რეგულაციების გავრცელება.
2. სამედიცინო კონტროლი შეჯიბრებებისას.
  - 2.1. ნეირომეტრული ტესტირება.
  - 2.2. ავარიის შემდეგ ან ფიზიკურ დარღვევებზე სამედიცინო შემოწმება.
    - 2.2.1. ნებისმიერ საერთაშორისო შეჯიბრებაზე.
    - 2.2.2. ტესტირება და დაზვერვა.
  - 2.3. ავარიის ან ავადმყოფობის შემდგომი პროცედურა.
    - 2.3.1. მთავარი ექიმის მოვალეობები.
    - 2.3.2. ეროვნული სპორტული ორგანოს მოვალეობები.
    - 2.3.3. მრბოლელის ვალდებულებები.
3. რეინტეგრაცია.
4. დოპინგთან მებრძოლი ორგანიზაცია.
5. სააპელაციო კომისია.
6. ფიზიოლოგიური გამოკვლევების რეგულაციები ავტოსპორტის შეჯიბრებებისას.
  - 6.1. ზოგადი შენიშვნები.
  - 6.2. ექსპერიმენტის ჩატარების ინიციატივა.
  - 6.3. წინასწარი შეთანხმებები.

6.4. დამატებითი პირობები, რომლებიც საჭიროა „მოედანზე“ ფიზიოლოგიური ექსპერიმენტის ნორმალურად ჩასატარებლად შეჯიბრების და/ან მასთან დაკავშირებული ვარჯიშის სესიებისას.

6.5. მოპოვებული მეცნიერული მონაცემების გამოყენება.

წინასიტყვაობა:

ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტის მიზნით, რომელიც შეიძლება მოქმედი რეგულაციების გამოყენების შედეგად მივიღოთ, ნებისმიერ საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაცია უნდა ფლობდეს ეროვნულ სამედიცინოს კომისიას, ან თუ ეს შეუძლებელია, უნდა ყავდეს ექიმი-კონსულტანტი, რომელსაც გააჩნია საკმარისი ცოდნა სპორტული მედიცინის სფეროში და კერძოდ, ავტოსპორტთან დაკავშირებულ კონკრეტულ პრობლემებთან მიმართებაში.

## **1. ყოველწლიური სამედიცინო ვიზიტი ფიზიკური შესაძლებლობების შესამოწმებლად.**

### **1.1. სამედიცინო კონტროლის გამოყენების სფერო.**

ერთად აღებული, წინამდებარე თავში აღწერილი შემოწმების სახეები:

- აუცილებელი და საკმარისია სამედიცინო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად FIA საერთაშორისო ლიცენზიის გასაცემად.
- რეკომენდირებულია ეროვნული ლიცენზიის გასაცემად.

ამგვარი სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს მედიცინის დოქტორის მიერ, რომელიც უფლებამოსილია იმუშაოს იმ ქვეყანაში, რომელიც მოწმობას გასცემს და ლიცენზიის გაცემამდე 3 თვე მაინც გააჩნია ამ ქვეყანაში მუშაობის გამოცდილება. საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაცია-მა შეიძლება კონკრეტული პირობების შესრულება მოითხოვოს. ეს მოიცავს:

- წერილობითი კითხვარის შევსებას ოჯახისა და პირადი სამედიცინო ისტორიის შესახებ (სამედიცინო, ქირურგიული, ტრავმატოლოგიური), არსებული დაავადებების ან ინფექციების და ნებისმიერი წამლის მოხმარების შესახებ;

- სრული კლინიკური გამოკვლევა,

კერძოდ:

- გულსისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონირების შემოწმება;
- ტესტი თვალზე;
- საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის შემოწმება.

### **1.2. გულსისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონირების შემოწმება.**

- ყველა შემთხვევაში იზომება არტერიული წნევა;
- ყოველ ორ წელიწადში ერთხელ:
- 45 წლამდე პაციენტებისთვის 12-არხიანი ეკგ;
- 45 წელზე მეტი პაციენტებისთვის სტრეს-ტესტი ეკგ.

ეს სკრინინგი უნდა ჩატარდეს სპეციფიკური სამედიცინო განათლების, გამოცდილებისა და კომპეტენციის მქონე ექიმმა, რათა საიმედოდ მოახდინოს კლინიკური სიმპტომებისა და ნიშნების გამოვლენა, რაც დაკავშირებულია იმ გულსისხლძარღვთა დაავადებებთან, რომლებიც დატვირთვის შემთხვევაში იწვევენ უეცარ კარდიალურ სიკვდილს.

### **1.3. ტესტი თვალზე.**

პირველ წელს საერთაშორისო ლიცენზიის გაცემისას შემდეგი ინფორმაცია უნდა დამოწმდეს კვალიფიციური ოფთალმოლოგის ან ნებისმიერი კვალიფიციური პირის მიერ ჩატარებული

კონტროლის შემდეგ, რომელსაც გააჩნია ტესტის ჩატარების კვალიფიკაცია ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. არ შეიძლება კონტაქტური ლინზების ტარება მხედველობის შემოწმებისას; საჭიროების შემთხვევაში მრბოლელს შეუძლია ეკეთოს სათვალეები.

ა) მხედველობის სიმახვილის გამოკვლევა:

- კორექციამდე ან მას შემდეგ მინიმუმ 9/10 თითოეული თვალისთვის, ან 8/10 ერთი თვალისთვის და 10/10 მეორე თვალისთვის;

- ნებისმიერი პაციენტს, რომელსაც მხედველობის სიმახვილე ცალ თვალში შეუმცირდა, მაგრამ მთლიანად არ არის გამქრალი და არ შეიძლება მისი აღდგენა და რომელსაც ესაჭიროება კონტრალატერალური ხედვა, იქნება ეს კორექტირების შემთხვევაში თუ არა, უდრის ან აღემატება 10/10, შეუძლია მიიღოს ლიცენზია შემდეგი პირობების შესაბამისად:

- შეესაბამებოდეს ქვემოთ მოყვანილ ბ, გ და დ პუნქტებს;
- ფსკერის მდგომარეობა უნდა გამორიცხავდეს ბადურის პიგმენტურ დაზიანებას;
- ნებისმიერი ძველი ან თანდაყოლილი დაზიანება აუცილებლად ცალ მხარეზე უნდა იყოს.

ბ) ფერების ხედვა: ნორმალური (ანალიზის მეთოდი: იშიჰარას ცხრილი ან ანალოგიური სკრინინგ ტესტი). ანომალიის შემთხვევაში გამოიყენება ფარნსვორთის ტესტი „Panel D15“ ან ანალოგიური სისტემა. ნებისმიერ შემთხვევაში, არ უნდა არსებობდეს შეცდომის რისკი დროშების ფერების აღქმაში, რომლებსაც იყენებენ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

გ) სტატიკური მხედველობის არე: მინიმუმ 120<sup>0</sup>; ცენტრალურ 20<sup>0</sup> არ უნდა შეეხოს ცვლილება. პერიმეტრის დანახვა უნდა მოხდეს.

დ) სტერეოსკოპური ხედვა: ფუნქციური. დაეჭვების შემთხვევაში მისი შემოწმება უნდა მოხდეს ვირთის, ბაგოლინის (განივზოლიანი ლინზები) ან მსგავსი ტესტების გამოყენებით.

ე) მხედველობის კორექტირება: კონტაქტური ლინზების ტარება ნებადართულია მხოლოდ იმ პირობით, რომ:

- მას უნდა ატარებდეს მინიმუმ 12 თვის მანძილზე და ყოველ დღეს კონკრეტული პერიოდის განმავლობაში.
- ლინზები ავტორბოლისთვის ვარგისად უნდა იყოს დამტკიცებული მათი მომწოდებელი ოფთალმოლოგის მიერ.

1.3.1. თვალის მწვავე დაავადებების შემთხვევაში, მათ შორის ისეთი დაავადებები, რომლებიც იწვევენ მხედველობის ხანგრძლივად დაკარგვას ან მხედველობის არეს ხანგრძლივ ცვლილებას, მინიმუმ ორ წლიანი პერიოდია საჭირო იმისთვის, რომ მრბოლელმა გაიაროს შემდეგი ოფთალმოლოგიური გამოკვლევა. ამ შემთხვევაში უნდა ჩაუტარდეს სპეციალიზებული ოფთალმოლოგიური ტესტები, როგორცაა მხედველობის არეს ტესტები და სტერეოსკოპიული მხედველობის ტესტები. ასევე შემოთავაზებულია, შესაძლებლობის ფარგლებში, მრბოლელს ჩაუტარდეს რეალურ დროში მოქმედი ტესტი ტრასაზე.

ეს გადაწყვეტილებები მიღებული უნდა იქნას ინდივიდუალურ საფუძველზე დაყრდნობით.

#### **1.4. სახსრების მოძრაობა, მოძრაობების ამპლიტუდა, ამპუტაციის ჩამონათვალი და შესაძლო პროთეზები, სენსორული და მოტორული დარღვევების ჩამონათვალი.**

შემდეგის არსებობის შემთხვევაში გაიცემა საერთაშორისო ლიცენზია:

- თითების ამპუტაცია, როცა მოჭიდების ფუნქცია ორივე ხელში არ არის დაზიანებული;
- კიდურების პროთეზი, თუ მისი ფუნქციური შედეგი უდრის ან ახლოსაა ნორმასთან;
- კიდურების თავისუფალი მოძრაობა შეზღუდულია 50%-ზე ნაკლები ოდენობით.

#### **1.5. დაავადებებისა და უუნარობის ჩამონათვალი, რომლებიც შეუთავსებელია ავტოსპორტთან ან სამედიცინო შემოწმებას მოითხოვს კონკრეტული ორგანოს მიერ.**

### 1.5.1. აბსოლუტურად გამორიცხულია.

- ეპილექსია, იქნება ეს მკურნალობის ქვეშ თუ არა, დადასტურებული კლინიკური გამოვლინებებით წინა 10 წლის მანძილზე;
- ნებისმიერი სახის გულსისხლძარღვთა პრობლემა, მოულოდნელი გარდაცვალების რისკით;
- სიბრმავე ცალ თვალში.

იმ მრბოლელთა მდგომარეობა, რომლებსაც აღენიშნებათ მონოკულარული სიბრმავე და რომლებსაც ამჟამად აქვთ საერთაშორისო ლიცენზია, მათი შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა განიხილოს FIA სამედიცინო კომისიამ. გარდა ამისა, ყველა პრობლემისათვის, ერთის გამოკლებით, რომელიც ზემოთაა მითითებული, FIA სამედიცინო კომისიას შეუძლია, თუ მას ასე სურს და ყოველი წარდგენილი დოსიესთვის, მოითხოვოს კომიტეტის ექსპერტების მოსაზრებები.

### 1.5.2 სტანდარტული ლიცენზიის მისაღებად შეუფერებელი მდგომარეობა, თუმცა, ნებადართულია სპეციალური შესაძლებლობის მოწმობის გაცემა. (იხ. წინამდებარე დანართის თავი I, მუხლი 10)

- მოძრაობის ყველანაირი სახის შეზღუდვა, ამპუტაციები და პროთეზის კიდურები, რომლებიც არ აკმაყოფილებს 1.4 პუნქტში განსაზღვრულ კრიტერიუმებს.
- მთავარი ცენტრალური ან პერიფერიული სენსორულ-მოტორული დაზიანება (მონოპლევია, ჰემიპლევია, პარაპლევია და სხვა).

### 1.5.3 დაავადებები ან უუნარობა, რომლებიც მოითხოვს სამედიცინო შემოწმებას საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაცია-ის უფლებამოსილი ორგანოს მიერ. (სამედიცინო კომისია, ან მისი არარსებობის შემთხვევაში საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული ექიმი):

- დიაბეტი, რომელსაც მკურნალობენ ინსულინითა და სულფოლინშარდოვანათი, იმ პირობით, რომ კონფიდენციალური დოკუმენტით დადასტურებული იქნება, რომ დაინტერესებული მხარე რეგულარულად გადის მეთვალყურეობას და მითითებული იქნება მისი მკურნალობის მეთოდები; ეს დოკუმენტი წარდგენილი უნდა იქნას საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაცია-ის მიერ დამტკიცებულ სამედიცინო ორგანოში და სამედიცინო ცნობაში შესაძლებლობის შესახებ (იხ. პუნქტი 1.8) უნდა ეწეროს შემდეგი ფრაზა „აუცილებელია სამედიცინო მეთვალყურეობა“;
- ნებისმიერი სახის კარდიალური თუ არტერიული არანორმალური მდგომარეობა;
- ყველა სახის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ქცევითი პრობლემები და მოითხოვს ფსიქიატრიულ მკურნალობას;
- ჯანმრთელობის ნებისმიერი პრობლემა, რომელსაც შეუძლია, მისი თვისებიდან ან აუცილებელი მკურნალობიდან გამომდინარე, გამოიწვიოს ისეთი შედეგები, რომლებიც საზიანოა ავტოსპორტში მონაწილეობისთვის, ავარიის ჩათვლით.

### 1.6. სამედიცინო შემოწმების ფორმა.

- თითოეულ ქვეყანაში, საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაცია, ადგილობრივი კანონმდებლობისა და ჩვეულებების შესაბამისად, ვალდებულია შეადგინოს და დაბეჭდოს შემდეგი:
  - სამედიცინო კითხვარი;
  - სამედიცინო ფორმა. მოქმედი რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად, ეს დოკუმენტები უნდა დაურიგდეს ლიცენზიის მიღების მსურველ ყველა აპლიკანტს.

#### 1.6.1. სამედიცინო კითხვარი.

მასზე ხელი უნდა მოაწეროს დაინტერესებულმა მრბოლელმა.

ამ კითხვარის სავარაუდო ფორმულირების მიღება შესაძლებელია FIA-გან.

### 1.6.2. სამედიცინო ფორმა.

სამედიცინო ფორმა უნდა შეიცავდეს: - ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია შემმოწმებელი ექიმისთვის (ამ კითხვარის სავარაუდო ფორმულირების მიღება შესაძლებელია FIA-გან).

შემდეგი ინფორმაცია სრულად უნდა იყოს მითითებული:

- პაციენტის წონა და სიმაღლე;
- სისხლის ჯგუფი და რეზუს-ფაქტორი იმ ქვეყნებში, სადაც ეს კანონით მოითხოვება;
- ნებისმიერი სახის ალერგია, იქნება ეს მედიკამენტური თუ სხვა;
- ანტი-ტეტანუსზე ბოლო ვაქცინაციის თარიღი;
- საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის შემოწმების შედეგები, ციფრებში;
- თვალის ტესტის შედეგები, ციფრებში;
- არტერიული წნევის მონაცემები და სხვა შემდგომი შემოწმებების შედეგები (მარტივი ეკგ ან სტრეს-ტესტი, დამოკიდებული ასაკსა და შემთხვევაზე).

იმ ქვეყნებში სადაც ამას მოითხოვს კანონი ან ჩვეულება, ეროვნული სამედიცინო ფორმით შეიძლება სავალდებულო იყოს დამატებითი ტესტების გავლა. ფორმას ხელს მოაწერს და საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაციის ბეჭედს დასვამს ექიმი, რომელმაც ჩაატარა სამედიცინო შემოწმება.

ფორმის ქვედა ნაწილში აპლიკანტმა უნდა მოაწეროს განცხადებას ხელი სადაც ნათქვამია, რომ:

- ექიმისთვის მიწოდებული ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის ამჟამინდელ მდგომარეობასთან და სამედიცინო ისტორიასთან დაკავშირებით, სწორია;
- ის ვალდებულებას იღებს, რომ არ მიიღოს ნებისმიერი სახის ნივთიერება, რომელიც შესულია მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ აკრძალული ნივთიერებებისა და მეთოდების სიაში;
- ის ვალდებულებას იღებს, დაუყოვნებლივ მიმართოს საერთაშორისო ფედერაციის წევრ ეროვნულ ფედერაციას რჩევისთვის, თუკი მნიშვნელოვანი ცვლილებები აღენიშნება ჯანმრთელობასთან დაკავშირებით;
- თუ ის სამედიცინო თვალსაზრისით, ნებისმიერი წამლის ჩათვლით, იღებს რაიმეს სამ კვირაზე მეტი ხნით;
- ტრავმატოლოგიური თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა ავარია მოხდა არსამუშაო პერიოდში ან არ უკავშირდება ავტოსპორტს.

### 1.6.3. სამედიცინო ფორმისა და კითხვარის დანიშნულება.

ამ დოკუმენტებს ინახავს საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაცია, შესაბამისი სამედიცინო კონფიდენციალობის წესების დაცვით. თუმცა, დაცული კომპიუტერული ფაილის შექმნის მიზნით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ავტოსპორტში ჩართული ექიმებისთვის ავარიის შემთხვევაში ან ინტერკურენტული დაავადებების დროს, FIA-ს შეუძლია მოითხოვოს მათი ასლები. დაინტერესებულ მრბოლელთა კატეგორიები განისაზღვრება FIA-ს სამედიცინო კომისიის მიერ.

### 1.7. ექიმის მოვალეობები, რომელიც ახორციელებს შემოწმებას.

ექიმი, რომელიც პასუხისმგებელია სამედიცინო ვარგისიანობის ტესტის ჩატარებაზე, ვალდებულია გამოიყენოს აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სამედიცინო ფორმა, შეავსოს ყველა საჭირო მონაცემებით. აპლიკანტმა ის დაუყოვნებლივ უნდა გაუზიაროს შემდეგ შესაბამის საერთაშორისო ფედერაციის წევრ ეროვნულ ფედერაციას. გადაწყვეტილება ვარგისიანობის ან უვარგისობის შესახებ უნდა მიიღოს შემმოწმებელმა ექიმმა. ამ ექიმს შეუძლია რჩევა იკითხოს საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული ორგანოსგან (ეროვნული სამედიცინო კომისია ან დამკტიცებული ექიმი).

### 1.8. შესაძლებლობის შესახებ სამედიცინო მოწმობა.

თითოეულ საერთაშორისო მოწმობას თან უნდა ახლდეს შესაძლებლობის შესახებ სამედიცინო მოწმობა:

- ან მოწმობის უკანა მხარეს;
- ან თანდართული დოკუმენტის სახით.

რომელიც შეესაბამება ავტოსპორტის პრაქტიკას, FIA სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად:

თარიღი: -----

შესწორებული მხედველობა (სათვალეები ან ლინზები ) კი/არა

სპეციალური სამედიცინო მეთვალყურეობა კი/არა

### 1.9. რეგულაციების გავრცელება.

გარდა იმ დოკუმენტებისა, რომლებიც მათი მეთვალყურეობის ქვეშაა, საერთაშორისო ფედერაციის წევრ ეროვნულ ფედერაციისა ასევე მოეთხოვება დაურიგოს მოქმედი რეგულაციები შემოწმებულ ექიმებს ან მოწმობის აპლიკაციაში მიუთითოს ვებგვერდი, სადაც ისინი ნახავენ ამ რეგულაციებს.

## 2. სამედიცინო კონტროლი შეჯიბრებისას.

შეჯიბრების მთავარმა ექიმმა შესაძლებლობის შესახებ სამედიცინო მოწმობის გადამოწმების შედეგად შეიძლება შეცვალოს კონკრეტულ შემთხვევებში საჭირო წინასწარი ვიზიტები. გარდა ამისა, შეჯიბრების მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდეგ, ნებისმიერ დროს, მთავარ ექიმსა და მის თანაშემწეს შეუძლია მოითხოვონ, რომ მრბოლელს ჩაუტარდეს სამედიცინო შემოწმება, თუ ჩათვლიან, რომ ეს განპირობებულია მისი ქცევით. სპორტული ხელისუფლების მიერ მიღებული ნებისმიერი სახის გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა მთავარი ექიმის მოხსენებითი ანგარიშის შემდეგ. ეს შემოწმება შეიძლება მოიცავდეს, საჭიროების შემთხვევაში, ალკოჰოლზე ტესტს.

### 2.1. ნეირომეტრული ტესტირება.

მრბოლელებს, რომლებიც შედიან FIA მსოფლიო ჩემპიონატში, შეიძლება მოუწიოთ ნეირომეტრული ტესტირების გავლა. ამგვარი ტესტირების მეთოდებზე პასუხისმგებელია FIA ჩემპიონატის სამედიცინო დელეგაცია. მოპოვებული კონფიდენციალური ინფორმაციები გამოყენებული უნდა იქნას შედარებითი მიზნებისთვის ავარიის შემთხვევაში, სადაც მრბოლელს აღენიშნება ტვინის ტრავმული დაზიანება.

### 2.2. ავარიის შემდეგ ან ფიზიკურ დარღვევებზე სამედიცინო შემოწმება.

#### 2.2.1. ნებისმიერ საერთაშორისო შეჯიბრებაზე.

ავარიის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მრბოლელს დაზიანებები არ აღენიშნება და/ან კაბინიდან გადმოვიდა სხვების დახმარების გარეშე, ან ფიზიკური პრობლემის შემთხვევაში, აუცილებელია სამედიცინო შემოწმება გაიაროს მთავარ ექიმთან რბოლის ხელმძღვანელის/კომისრის თანხმობით.

- ტრასაზე შეჯიბრებისას, ამგვარი შემოწმება ჩვეულებრივ უნდა გაიაროს ტრასაზე არსებულ სამედიცინო ცენტრში; ასეთ შემთხვევაში, რბოლის კონტროლი უზრუნველყოფს მრბოლელის ადგილზე მისვლას.
- საგზაო შეჯიბრებისას, სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს ადგილზე (გორაკზე) ან შეჯგუფების პარკში (შეკრება).

- FIA ჩემპიონატის ფარგლებში ჩატარებულ შეჯიბრებებზე, სადაც წარმოდგენილია FIA-ს სამედიცინო დელეგაცია, ამ უკანასკნელს შეუძლია შემოწმების პროცედურის წამოწყება მთავარ ექიმთან და რბოლის ხელმძღვანელთან შეთანხმებით; გამონაკლისის სახით, ტრასაზე რბოლის შეჯიბრებისას, ამგვარი შემოწმება უნდა განხორციელოს FIA სამედიცინო დელეგაციამ სამედიცინო ცენტრში.
- თუ შეჯიბრების, სერიის ან ჩემპიონატის რეგულაციები მოითხოვს, რომ მონაწილე მანქანები აღიჭურვოს FIA-ს სპეციფიკაციის სამედიცინო გამაფრთხილებელი მანათობლით, ავარიაში მოხვედრილი მრბოლელი, თუ გამოიყენებს ამ მანათობელს, რითაც ანიშნებს, რომ გასცდა განსაზღვრულ ზღვარს, იგი აუცილებლად უნდა გაისინჯოს შეჯიბრების სამედიცინო მომსახურების მიერ ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, FIA სამედიცინო დელეგაციის ან ჩემპიონატზე თუ სერიებში დანიშნული ექიმის თხოვნით. შეჯიბრების მთავარი ექიმი, FIA დელეგაციასთან ან ჩემპიონატზე თუ სერიებში დანიშნულ ექიმთან ერთად დაადგენს ყველაზე შესაფრის ადგილს ამგვარი შემოწმების ჩატარებისთვის.

ყველა შემთხვევაში, ინფორმაცია უნდა მიაწოდონ ამ მრბოლელის გუნდს. შეჯიბრების მთავარ ექიმს FIA დელეგაციასთან ერთად, იმ შეჯიბრებებზე რომელსაც ესწრება, მრბოლელის მისამართით შეუძლია გადაწყვიტოს შემდეგი:

- აუკრძალოს შეჯიბრებაში მონაწილეობის გაგრძელება;
- დაავალოს სამედიცინო შემოწმების გავლა მომდევნო საერთაშორისო ჩემპიონატის ან ჩემპიონატის მთავარ ექიმთან, სადაც ის მიიღებს მონაწილეობას. ამ შემთხვევაში, შეჯიბრების მთავარმა ექიმმა, სადაც ავარია მოხდა, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მომდევნო შეჯიბრების მთავარ ექიმს არსებული მდგომარეობის შესახებ;
- აცნობოს, რომ მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მომდევნო შეჯიბრებებში ყოველგვარი სამედიცინო შემოწმებების გარეშე.

ეს ზომები მოქმედია მთელი შეჯიბრების მანძილზე; ნებისმიერი მრბოლელი, რომელიც არ დაემორჩილება მათ, დაბარებული იქნება მმართველთან. სამკაულის ტარება სხეულზე პირსინგის ან კისერზე ჯაჭვების სახით აკრძალულია შეჯიბრების დროს და შესაბამისად უნდა შემოწმდეს სტარტამდე.

### 2.2.2. ტესტირება და დაზვერვა.

კერძო ტრასებზე ტესტირებისას ან დაურეგულირებელი გზების დაზვერვისას, ნებისმიერ მრბოლელს რომელიც გადავა გზიდან და/ან ვისაც შეექმნება ნებისმიერი სახის ფიზიკური პრობლემები ამ კონკრეტული შემთხვევისას, უნდა ჩაუტარდეს სამედიცინო შემოწმება და დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ამის შესახებ საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაცია-ს.

F1, WEC ან WTCC კერძო ტრასაზე ტესტირებისას ან WRC შეჯიბრებისთვის დაურეგულირებელი დაზვერვისას, ამგვარი კონტროლი უნდა განხორციელდეს მომდევნო საერთაშორისო შეჯიბრების დაწყებამდე, სადაც ის აპირებს მონაწილეობის მიღებას, იგივე პირობებითა და შედეგებით რაც არსებობს საერთაშორისო შეჯიბრებებში (იხ. პუნქტი 2.2.1). ექიმს, რომელსაც ეკისრებოდა კერძო ტრასაზე ტესტირებისას მისი გადარჩენა მანქანის გზაზე დატოვების შემთხვევაში, ვალდებულია რაც შეიძლება მალე აცნობოს FIA სამედიცინო კომისიის სამდივნოს ამგვარი შემთხვევის შესახებ.

### 2.3. ავარიის ან ავადმყოფობის შემდგომი პროცედურა.

#### 2.3.1. მთავარი ექიმის მოვალეობები.

შეჯიბრების მთავარი ექიმი, რომლის დროსაც მოხდა ავარია, ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია:

- შეატყობინოს დაშავებული მრბოლელის შესახებ საერთაშორისო ფედერაციის წევრ ეროვნულ ფედერაციას ელ-ფოსტის ან ფაქსის საშუალებით, მოიყვანოს რაც შეიძლება მეტი ფაქტები და დეტალები, შესაძლებლობის ფარგლებში;
- შესაბამისად მიაწოდოს სრული ინფორმაცია დაშავებული მრბოლელის მდგომარეობის ხელსაყრელი თუ არახელსაყრელი განვითარების შესახებ.

**კონკრეტული დებულებები FIA ჩემპიონატებისთვის F1, WTCC, WEC და WRC ასევე შეატყობინებული იქნება ელ-ფოსტის საშუალებით ([medical@fia.com](mailto:medical@fia.com))**

### 2.3.2. ეროვნული სპორტული ორგანოს მოვალეობები.

სათანადო კონსულტაციისას (მთავარი ექიმის ან დაინტერესებული პირის მიერ) საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაცია ვალდებულია დაუკავშირდეს მრბოლელს და შესაბამისად დარწმუნდეს, რომ სათანადოდ გაიარა რეგისტრაციის პროცედურა პუნქტი 3-ის დაცვით. ამ პროცედურის გაუვლელობა გამოიწვევს მსგავსი მდგომარეობისთვის დადგენილ ჯარიმებს.

### 2.3.3. მრბოლელის ვალდებულებები.

ავარიის შემთხვევაში, იქნება ეს შეჯიბრებისას, თუ სხვა პირობებში, რაც გამოიწვევს 10 დღიან ან მეტი ხნით უუნარობას, ან ავადმყოფობის შემთხვევაში, ან პუნქტი 1.5 რეგულაციებით განსაზღვრული უუნარობის შემთხვევაში, მრბოლელი ვალდებულია შეატყობინოს თავის საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაცია-ს 10 დღის მანძილზე შემდეგი:

- ან თანდართული კონფიდენციალური სამედიცინო მოწმობა განკუთვნილი ეროვნული სამედიცინო კომისიისთვის ან საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაციის დამტკიცებული ექიმისთვის, სადაც მოცემული იქნება დიაგნოზი, მკურნალობა, პროგნოზი და დაშავების დონე,
- ან გასცეს უფლებამოსილება იმის შესახებ, რომ აწარმოოს კონფიდენციალური წერილობითი კომუნიკაცია ეროვნულ სამედიცინო კომისიასა თუ დამტკიცებულ ექიმსა და იმ ჰოსპიტალს (კლინიკას) შორის სადაც მკურნალობას გადის.

### **კონკრეტული დებულებები FIA ჩემპიონატებისთვის F1, WEC, WTCC და WRC**

*თუნდაც მაშინ, როცა უუნარობა უმნიშვნელოა ან გრძელდება 10 დღეზე ნაკლები დროით, მრბოლელი ვალდებულია FIA სამედიცინო დელეგატს აცნობოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის შესახებ, რომელსაც შეუძლია, თავისი თვისებიდან ან საჭირო მკურნალობიდან გამომდინარე, გამოიწვიოს ისეთი შედეგები, რომლებიც შესაძლოა საზიანო იყოს ავტოსპორტში მონაწილეობისთვის, მათ შორის ავარიის შემთხვევაშიც (იხ. პუნქტი 1.5) მოდევნო შეჯიბრებამდე, სადაც მას სურს მონაწილეობის მიღება, რათა განაახლოს მე-3 პუნქტში აღწერილი რეინტეგრაციის პროცედურა.*

## **3. რეინტეგრაცია.**

ავარიის დღიდან ან დაავადების ან უუნარობის აღმოჩენის თარიღიდან, რომელიც გათვალისწინებულია პუნქტი 1.5 რეგულაციებით, არცერთ მრბოლელს არ შეუძლია სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება, რომლებიც შედის FIA საერთაშორისო კალენდარში, სანამ მასზე უფლებამოსილებას არ მიიღებენ საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაციისგან.

ავარიის შემთხვევაში, რამაც უუნარობა გამოიწვია 10 დღის ან მეტი ხნის ვადით და შესაბამისი დოკუმენტების შესაბამისად დამოწმებული იქნა, რომ პაციენტი გამოჯანმრთელდა ან აღუდგა შეზღუდვები, ეროვნული სამედიცინო კომისია ან საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული ექიმი ვალდებულია მოსთხოვოს პაციენტს მათთან ვიზიტი რეინტეგრაციის მიზნით ან გაატარებს სრულ წლიურ სამედიცინო შემოწმების პროცედურას. 1.5 პუნქტში მოცემული ყველა დაავადება და უუნარობა უნდა განიხილოს ეროვნულმა სამედიცინო



კომისიამ, ან მისი არარსებობის შემთხვევაში საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაციის მიერ დანშნულმა ექიმმა.

#### **კონკრეტული დებულებები FIA ჩემპიონატისთვის F1, WEC, WTCC და WRC**

ა) 10 დღეზე ნაკლები დროით უუნარობის შემთხვევაში, სამედიცინო კონტროლი ჩატარდება მომდევნო შეჯიბრებისას, სადაც მრბოლელი მიიღებს მონაწილეობას; ამგვარი კონტროლი უნდა ჩატარდეს FIA სამედიცინო დელეგატის ან მთავარი ექიმის უფლებამოსილების ქვეშ;

ბ) 10 დღეზე მეტი ან უფრო ხანგრძლივი დროით უუნარობის შემთხვევაში, ამგვარი კონტროლი ჩატარდება ანალოგიური წესით, პირველივე შეჯიბრებისას, სადაც მრბოლელს მონაწილეობის მიღება სურს, მას შემდეგ რაც მიიღებს მისი გამოჯანმრთელების შესახებ მოწმობას და საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაციისგან მისი რეინტეგრაციის დადასტურებას.

#### **4. დოპინგთან მებრძოლი ორგანიზაცია.**

FIA-ს ანტიდოპინგური რეგულაციების მიზანია დაიცვას მრბოლელთა ფუნდამენტური უფლება მონაწილეობა მიიღოს დოპინგისგან თავისუფალ სპორტში და შესაბამისად ხელი შეუწყოს ჯანმრთელობას, სამართლიანობას, თანაწილობასა და უსაფრთხოებას ავტოსპორტში. ეს რეგულაციები მოცემულია საერთაშორისო სპორტის კოდექსის დანართ ა-ში.

#### **5. სააპელაციო კომისია.**

თითოეულ ქვეყანაში, საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაციის მიერ დანიშნული სამედიცინო კომისიის მოწვევა მოხდება ექიმებსა და მრბოლელებს შორის წარმოშობილი რაიმე სახის უთანხმოების მოსაგვარებლად, განხილვის საფუძველად მიჩნეულია 1.3 და 1.4 პუნქტებში განსაზღვრული დებულებები.

შესაძლოა მრბოლელს მოსთხოვონ ტესტ დრაივის გავლა ექიმის თანდასწრებით, რომელიც სამედიცინო კომისიის წევრი ან ეროვნული სპორტული ორგანოს მიერ დამტკიცებული ექიმი იქნება. ეროვნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღიარებული უნდა იქნას ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ვრცელდება FIA-ს იურისდიქცია.

#### **6. ფიზიოლოგიური გამოკვლევების რეგულაციები ავტოსპორტის შეჯიბრებებისას.**

##### **6.1. ზოგადი შენიშვნები.**

ფიზიოლოგიურ კვლევებში მოიაზრება სამედიცინო ხასიათის კვლევები და უნდა ჩატარდეს მთლიანად ან ნაწილობრივ:

ა) ან სპორტული შეჯიბრების დაწყებულებებისგან შორს და თუ ნებაყოფლობითია და პირადად შეთანხმებულია მონაწილეებთან მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების მკაცრი დაცვით, ისინი არ ექვემდებარება ქვემოთ მოცემულ რეგულაციებს (6.2, 6.3, და 6.4);

ბ) ან შეჯიბრების მიმდინარეობისას და/ან შეჯიბრებამდე ვარჯიშის სესიებისას; ამ შემთხვევაში, ზემოხსენებულ პირდაპირ შეთანხმებულ წესებზე დამატებით, რამაც არასდროს და არანაირი მიზეზით, ხელი არ უნდა შეუშალოს ამ შეჯიბრების ნორმალურ მიმდინარეობას და არ უნდა შეაწუხოთ ნებისმიერი ის მრბოლელი და მონაწილე, რომელიც არ არის მასში ჩართული. შესაბამისად, ისინი უნდა შეესაბამებოდნენ ქვემოთ მოცემულ რეგულაციებს (6.2, 6.3, და 6.4).

##### **6.2. ექსპერიმენტის ჩატარების ინიციატივა.**

ექსპერიმენტის ჩატარების ინიციატივა და კვლევის თემის შერჩევა შეიძლება მოხდეს შემდეგნაირად:

ა) დამოუკიდებელი მკვლევარი ექიმის მიერ ან იურიდიული პირის მიერ, რომელსაც თავის განკარგულებაში ყავს ამ საკითხთან დაკავშირებით კომპეტენტური სამედიცინო გუნდი;

ბ) საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაცია-გან, თავისი სამედიცინო კომისიის მეშვეობით;

გ) FIA სამედიცინო კომისიისგან.

*შენიშვნა: ბ) და გ)-ს შემთხვევაში, კომისიამ უნდა დანიშნოს მკვლევარი ექიმი(ები).*

### **6.3. წინასწარი შეთანხმებები.**

შეჯიბრების მიმდინარეობისას არანაირი დაგეგმილი ექსპერიმენტი არ უნდა განხორციელდეს კომპეტენტური სამედიცინო კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე, კერძოდ:

6.3.1.1. ეროვნული და საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის რომლებიც იმართება FIA მსოფლიო ჩემპიონატის გარეთ და შეჯიბრი ტარდება საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაციის ერთ გეოგრაფიულ ფართობზე, ამისთვის საჭირო და საკმარისია ეროვნული სამედიცინო კომისიის თანხმობა.

6.3.1.2. ყველა ექსპერიმენტისთვის, რომელშიც ჩართულია მრბოლელები ან შემცვლელი მრბოლელები, რომლებიც მონაწილეობენ FIA მსოფლიო ჩემპიონატში და საერთაშორისო ექსპერიმენტებში FIA მსოფლიო ჩემპიონატის ფარგლებს გარეთ, რომელიც იმართება ერთზე მეტი შეჯიბრის სახით და მათი გავლა დაგეგმილია საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაციის რამდენიმე ტერიტორიაზე, მაშინ სავალდებულოა FIA სამედიცინო კომისიის თანხმობა; შესაბამისად, ნებისმიერი მოთხოვნა იმისთვის, რომ ჩაჯდეს ამ პარამეტრებში, იქნება ეს გაცემული ეროვნული სამედიცინო კომისიის მიერ თუ არა, უნდა გაეგზავნოს FIA სამედიცინო კომისიას.

### **6.4. დამატებითი პირობები, რომლებიც საჭიროა „მოედანზე“ ფიზიოლოგიური ექსპერიმენტის ნორმალურად ჩასატარებლად შეჯიბრების და/ან მასთან დაკავშირებული ვარჯიშის სესიებისას. ყველა შემთხვევაში საჭიროა შემდეგი მხარეების თანხმობა:**

- საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული ფედერაციის იმ ტერიტორიაზე, სადაც ექსპერიმენტი ტარდება
  - ორგანიზატორის
  - რბოლის ხელმძღვანელის
  - მთავარი ექიმის
  - FIA მსოფლიო ჩემპიონატისას, ღონისძიების ხელმძღვანელის.
- დასასრულისთვის, საჭიროა წერილობითი განცხადება:
- ექსპერიმენტისთვის საჭირო სამედიცინო აღჭურვილობის ტიპი, რაოდენობა და განთავსება;
  - ექსპერიმენტისთვის საჭირო დრო და ადგილი, სადაც მითითებული იქნება შემდეგი:
    - ტრასაზე რბოლის შეჯიბრება, მიუხედავად იმისა ექსპერიმენტი ტარდება ვარჯიშის დროს თუ თვითონ რბოლის დროს;
    - რბოლა, მიუხედავად იმისა, ექსპერიმენტი ტარდება გზის დახურულ თუ მოქმედ მონაკვეთში.
  - ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც შეადგენენ სამედიცინო კვლევით გუნდს, სამედიცინო პერსონალის ჩათვლით.
- იმ შეჯიბრებებისთვის, რომელსაც ესწრება FIA სამედიცინო დელეგატი, ეს წერილობითი თხოვნა უნდა გაეგზავნოს ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

### **6.5. მოპოვებული მეცნიერული მონაცემების გამოყენება.**

სამეცნიერო ნაშრომი ეკუთვნის მკვლევარ ექიმებს ან შექმნილი მდგომარეობის მიხედვით, იურიდიულ პირს, რომლის განკარგულებაშიცაა ამ საკითხის მიმართ კომპეტენტური სამედიცინო გუნდი.

- ა) შესაბამისად, მათ სრული თავისუფლება აქვთ გაავრცელონ ის მათი შეხედულებისამებრ.
- ბ) თუმცა, ისინი ვალდებულია იღებენ შედეგები აცნობონ მათ საერთაშორისო ფედერაციის წევრ ეროვნულ ფედერაციას და FIA-ს.